განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის (შემდგომში - კანონპროექტი) მომზადება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

ურბანული განვითარებისა და სივრცით-ტერიტორიული მოწყობის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გადაცემა გამოწვეული იყო საქართველოს მთავრობის სამთავრობო პროგრამის - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ ერთ-ერთი ძირითადი პრინციპით, ე.წ. „მცირე მთავრობის“ კონცეფციით. ამ კონცეფციის თანახმად, ქვეყანის იმ დროინდელი გამოწვევები მოითხოვდა მცირე, მოქნილ და ეფექტიან სამთავრობო ინსტიტუტებს, რომელთა შორის ფუნქციათა გადანაწილება სახელმწიფო მართვის პროცესს გახდიდა უფრო ეფექტიანს.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ სივრცითი–ტერიტორიული მოწყობის მიმართულებით გატარდა არა ერთი წარმატებული და ქმედითი ღონისძიება, რაც მოიცავს როგორც შესაბამისი სამართლებრივი აქტების შემუშავებასა და დამტკიცებას, ასევე სხვადასხვა საინტერესო და მნიშვნელოვან წამოწყებას ქვეყნის შემდგომი სივრცითი დაგეგმარების პროცესის სრულყოფისთვის.

თუმცა, ნიშანდობლივია, რომ სივრცითი, ისევე როგორც ქალაქმშენებლობითი განვითარება, მჭიდროდ უკავშირდება მშენებლობის პროცესს და ამ ორი სფეროს განყენებულად განხილვა რთულია. იმის გათვალისწინებით, რომ მშენებლობის პოლიტიკა, ზედამხედველობა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამოსილებებს.

შესაბამისად, წინამდებარე კანონის პროექტი მიზნად ისახავს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უფლებამოსილებათა გადაცემას ახლად შექმნილი სააგენტოსთვის სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების პოლიტიკის უფრო ურთიერთკოორდინირებულად და ეფექტიანად წარმართვის მიზნით.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მიღების აუცილებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უფლებამოსილებები სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სფეროში დადგენილია საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით. სწორედ ამ აქტში შესაბამისი ცვლილების მომზადებით და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის გადაცემის შემთხვევაში მიიღწევა დასახული მიზანი და განხორციელდება დაგეგმილი ამოცანები.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღებით მოხდება საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის ცვლილება, რომლის შედეგადაც ამ კოდექსით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის განსაზღვრული უფლება–მოვალეობები გადაეცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. 2018 წლამდე აღნიშნულ ფუნქციას ახორციელებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების პოლიტიკის გაძლიერებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროცესების მეტად ეფექტიანად და კოორდინირებულად წარმართვას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფუნქციები სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების მიმართულებით გადაეცემა ამ კანონის საფუძველზე შექმნილ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს. აღნიშნული სააგენტო წარმოადგენს ამ კანონის საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სააგენტოს სტრუქტურა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები განისაზღვრება სააგენტოს დებულებით. სააგენტოს დებულებას ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. ცვლილებით, სააგენტოს ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. სააგენტო უფლებამოსილია კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთვის მიიღოს საფასური, რომელიც ირიცხება სააგენტოს ანგარიშზე. სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის სახეები, საფასურების განაკვეთები, საფასურების გადახდის და საფასურის გადახდისგან გათავისუფლების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული რედაქციით იცვლება განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიებზე და ზონებში განაშენიანების გეგმის, განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების წესი. აღნიშნულ გეგმებს დაამტკიცებს სააგენტო.

კანონის პროექტით გათვალისწინებული ცვლილების თანახმად, მუნიციპალიტეტები სივრცის დაგეგმარების გეგმას საექსპერტო დასკვნისთვის წარუდგენენ სააგენტოს, რომელიც უზრუნველყოფს სხვა, დაინტერესებული სამინისტროების/უწყებების მონაწილეობას განხილვის პროცესში და ასევე საკუთარი შენიშვნებისა და მოსაზრებების საფუძველზე მუნიციპალიტეტს წარუდგენს დასკვნას.

კანონპროექტი ითვალისწინებს ტექნიკური/ რედაქციული ხასიათის ხარვეზების აღმოფხვრას (იხ. 22-ე მუხლის მე-2 და 31-ე მუხლის მე-3 ნაწილები).

კანონის პროექტით გათვალისწინებულია გარდამავალი დებულებების მუხლი, რომლის თანახმად: სააგენტო განისაზღვრა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უფლებამონაცვლედ; აღნიშნული კანონის პროექტის მიღებამდე მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები (სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის მიმართულებით) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ახალი

სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე; კანონის ამოქმედებამდე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ ქალაქთმშენებლობით გეგმებსა და მათთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანას ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ საკითხს შეიმუშავებს სააგენტო და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით წარუდგენს საქართველოს მთავრობას; კანონის ამოქმედებამდე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის საფუძველზე განაშენიანების დეტალური გეგმას დაამტკიცებს სააგენტო; ხორციელდება თანამშრომლების უკონკურსოდ გადმოყვანა.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონის პირველი მუხლი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 30 დღის ვადაში, რათა მანამდე განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები და გატარდეს ყველა საჭირო ზომა, რაც აუცილებელია კანონის ძალაში შესვლისთვის. კანონის მე-2 და მე-3 მუხლი ამოქმედება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მნიშვნელოვანი მათი დროული ამოქმედება კანონის ძირითადი დებულებების ამოქმედებამდე. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი და სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ მიღებული შემოსავლები.

რაც შეეხება სააგენტოს შემოსავლებს, კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილების თანახმად, სააგენტოს დაფინანსების წყაროებია: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის საფასური, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

საკანონმდებლო ცვლილებები გავლენას მოახდენს სააგენტოს საკუთარ შემოსავლებზე. სააგენტო უფლებამოსილი იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების

გაწევისთვის მიიღოს საფასური, რომელიც ჩაირიცხება სააგენტოს ანგარიშზე. შემოთავაზებული კანონის პროექტის თანახმად არ არის განსაზღვრული თუ რა ვადაში უნდა დაადგინოს საქართველოს მთავრობამ სააგენტოს მომსახურეობის საფასურები/ოდენობა. ამასთან, ამ ეტაპზე არ არის მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხის თაობაზე. შესაბამისად, უცნობია სავარაუდოდ რა სახის გავლენას მოახდენს შემოთავაზებული რეგულაცია სააგენტოს შემოსავალზე.

2022 წლის განმავლობაში სააგენტოსთვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მიერ გრანტის სახით გადარიცხული საკუთარ შემოსავალში მიღებული თანხის 10% არ მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში. თუმცა იმ შემთხვევაში თუ სააგენტოს მიერ მიღებული შემოსავალი მიაღწევს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელის ოდენობას და სააგენტოს შემოსავალი არ იქნება გათავისუფლებული აღნიშნული გადასახადის დაბეგვრისგან სააგენტო გახდება დღგ-ს გადამხდელი სუბიექტი და ეს დამატებით აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში. ასევე სააგენტოს მიერ ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში 1 მილიონ ლარზე ზემოთ მიღებული შემოსავლის შემთხვევაში 10% მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რაც გამოწვეული იქნება სააგენტოს ფუნქციონირებასა და უფლებამოსილებების განხორციელებასთან. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნენების ფარგლებში გამოყოფილი 5.0 მლნ ლარი სააგენტოს გადაეცემა საქმიანობის განხორციელებისათვის. აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:

1) საიჯარო ხელშეკრულება (საოფისე ფართი) 1 წლის ვადით და ყოველთვიური საიჯარო თანხა შეადგენს 6 580 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და კომუნალური გადასახადების გათვალისწინებით. დღეის მდგომარეობით გადახდილია 1 თვის საიჯარო თანხა.
2) უახლოეს პერიოდში იგეგმება საქართველოს მთავრობის განკარგულების მიღება, რომლის საფუძველზეც საერთაშორისო ორგანიზაცია "Icomos"-თან გაფორმდება ხელშეკრულება 6 434.0 ევროზე (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით) და აღნიშნული თანხა გაფორმებიდან მალევე იქნება გადახდილი.
3) ასევე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს გამოცხადებული აქვს 2 კონკურსი (ქ. წყალტუბო და ქ. გურჯაანი), ქ. წყალტუბოს თანხა შეადგენს - 600 000 ლარს (დღგ-ს გარეშე) და ქ. გურჯაანის თანხა შეადგენს - 800 000 ლარს (დღგ-ს გარეშე).

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის მიმართულებით დასაქმებულია 12 მოხელე. მათი დარიცხული წლიური შრომის ანაზღაურება შეადგენს 317 280 ლარს. აღნიშნული რიცხოვნობა შესაბამისი შრომის ანაზღაურებით გადაეცემა სააგენტოს. იმ ოდენობით რამდენი თვეც დარჩება წლის ბოლომდე სააგენტოს შექმნის შემდეგ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივრცის დაგეგმვის დეპარტამენტის თანამშრომელთა რიცხოვნება და თანამდებობრივი სარგო:

	N	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	ფაქტიური ერთეული	თანამდებობრივი სარგო	ფაქტიური თან. სარგო	დაგროვებითი საპენსიო შენატანი - 2%
	I	**სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი**	**8**	**8**	**15,840**	**15,840**	**90**
		დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)	1	1	5,500	5,500	0.00
		დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე)	1	1	2,200	2,200	0.00
	1	**ურბანული განვითარების სამმართველო**	**6**	**6**	**8,140**	**8,140**	**90.20**
		სამმართველოს უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)	1	1	2,200	2,200	0.00
		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1	1,430	1,430	0.00
		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1	1,320	1,320	26.40
		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1	1,320	1,320	26.40
		მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1	1,320	1,320	26.40
		მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	1	550	550	11.00

		შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები	**4**	**4**	**10,600**	**10,600**	**212.00**
		შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	1	1	3,850	3,850	77.00
		შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	1	1	3,300	3,300	66.00
		შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	1	1	2,100	2,100	42.00
		შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	1	1	1,350	1,350	27.00

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივრცის დაგეგმვის დეპარტამენტის თანამშრომელთა რიცხოვნება და ანაზღაურება სრულად გადმოეცემა სააგენტოს. გარდა ამისა, იგეგმება სააგენტოში დასაქმებულთა რიცხოვნების გაზრდა, რაც გამოწვეულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. სავარაუდოთ, 2022 წელს სააგენტო ფუნქციონირებას გააგრძელებს არსებული ადამიანური და ფინანსური რესურსით, ხოლო შემდგომ გაზრდილი რესურსებით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ბიუჯეტიდან დამატებით სახსრების გამოყოფა. აღნიშნული ხარჯი ასევე სავარაუდოდ დაფინანსდება სააგენტოს საკუთარი შემოსავლებიდან.

მომავალში სააგენტოს სავარაუდო საშტატო ნუსხა და ანაზღაურება:

	ქვედანაყოფის დასახელება	**რანგი, კატეგორია**	**თანამდებობა**	**კოეფიციენტი**	**რიცხოვნობა**	**თანამდებობრივი სარგო**
	ხელმძღვანელობა		სააგენტოს უფროსი		1	7500.00
			უფროსის მოადგილე		1	6000.00
			უფროსის მოადგილე		1	6000.00
	სულ ხელმძღვანელობა:				3	19500.00
	სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების და საერთაშორისო პროგრამების დეპარტამენტი	პირველი რანგი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანე	დეპარტამენტის უფროსი	5	1	5500.00

		ლის თანამდებობა				
		მეორე რანგი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობა	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	2	1	2200.00
		მესამე რანგი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	კონსულტანტი	2.8	1	3080.00
		მესამე რანგი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	კონსულტანტი	2.8	1	3080.00
		მესამე რანგი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	კონსულტანტი	2.8	1	3080.00
		მესამე რანგი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	2.2	1	2420.00
		მესამე რანგი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	2.2	1	2420.00
		მესამე რანგი, მეორე კატეგორიის	მთავარი სპეციალისტი	1.8	1	1980.00

		უფროსი სპეციალისტის თანამდებობა				
		მეოთხე რანგი, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა	სპეციალისტი	1.5	1	1650.00
	სულ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების და საერთაშორისო პროგრამების დეპარტამენტი				**9**	**25410.00**
	ურბანული განვითარების დეპარტამენტი	პირველი რანგი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა	დეპარტამენტის უფროსი	5	1	5500.00
		მეორე რანგი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობა	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	4.5	1	4950.00
		მესამე რანგი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	კონსულტანტი	2.8	1	3080.00
		მესამე რანგი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	კონსულტანტი	2.8	1	3080.00

		მესამე რანგი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	1.3	1	1430.00
		მესამე რანგი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	1.2	1	1320.00
		მესამე რანგი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	1.2	1	1320.00
		მესამე რანგი, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	უფროსი სპეციალისტი	1.2	1	1320.00
		მეოთხე რანგი, მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა	სპეციალისტი	0.5	1	550.00
	სულ ურბანული განვითარების დეპარტამენტი:				**9**	**22550.00**
	იურიდიული, ნორმატიული და აკადემიური პროგრამების დეპარტამენტი	პირველი რანგი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა	დეპატამენტის უფროსი	5	1	5500.00
		მესამე რანგი, პირველი კატეგორიის უფროსი	კონსულტანტი	2.8	1	3080.00

		სპეციალისტის თანამდებობა				
		მესამე რანგი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	კონსულტანტი	2.8	1	3080.00
		მესამე რანგი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	2.2	1	2420.00
		მესამე რანგი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	2.2	1	2420.00
	სულ იურიდიული, ნორმატიული და აკადემიური პროგრამების დეპარტამენტი				**5**	**16500.00**
	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	პირველი რაბგი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა	დეპარტამენტის უფროსი	5	1	5500.00
		მესამე რანგი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	ფინანსისტი/ბუღალტერი	2.8	1	3080.00
		მესამე რანგი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	შესყიდვების სპეციალისტი	2.8	1	3080.00

		ს თანამდებობა				
		მესამე რანგი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	IT სპეციალისტი	2.8	1	3080.00
		მესამე რანგი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	giz სპეციალისტი	2.8	1	3080.00
		მესამე რანგი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	2.2	1	2420.00
		მესამე რანგი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი (ლოჯისტიკა)	2.2	1	2420.00
	სულ ადმინისტრაციული დეპარტამენტი:				**7**	**22660.00**
	სულ ჯამი:				33	106620.00

რაც შეეხება ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან მეორე მხარჯავ დაწესებულებაზე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებების საკითხს „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განკარგვაში არსებული სივრცის დაგეგმარების და ქალაქმშენებლობითი დაგეგმვის პოლიტიკის განსახორციელებლად განსაზღვრული შესაბამისი პროგრამული კოდებით გათვალისწინებულ ასიგნებებს გადაურიცხავს სააგენტოს, რომელიც აისახება მის საკუთარ შემოსავალში მიღებული გრანტის სახით და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სააგენტოს 2022 წლის ბიუჯეტი და საშტატო რიცხოვნება შეთანხმდება მთავრობასთან. კერძოდ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის მიერ

დეპარტამენტში დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების ფონდიდან 264 400 ლარის ოდენობით და პროგრამული კოდით (25 03 11) გათვალისწინებული 5000000 ლარს გადაურიცხავს სააგენტოს. ამასთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2022 წელს განსაზღვრული საშტატო რიცხოვნობა შესაძლებელია აჭარბებდეს „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მე-16 მუხლით დადგენილ მომუშავეთა რიცხოვნობას იმ პირობით, რომ არ გაიზრდება ამ კანონის ამოქმედებამდე „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით არსებულ სტრუქტურის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის ჯამურად განსაზღვრული რიცხოვნობა. ამდენად, წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ცვლილების შეტანის აუცილებლობას „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფა შესაძლებელია გამოიწვიოს ახალი სააგენტოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულმა საჭიროებებმა. აღნიშნული ხარჯი შესაძლებელია გამოწვეული იყოს კომუნალური და სხვა მსგავსი გადასახდელებისთვის, ავტომობილის/ინვენტარის შეძენისთვის. სავარაუდოდ, 2022 წელს არ განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა სააგენტოსთვის აღნიშნული საჭიროებებისათვის. ამასთან, სააგენტოს დაფუძნების შემდეგ სამინისტროს მიერ განხორციელდება ბიუჯეტთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილი ყველა პროცედურა მათ შორის საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების ასახვა.

რაც შეეხება, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციების განხორციელების საკითხს, სამინისტროს აპარატი არსებული რესურსით განახორციელებს აღნიშნული ცვლილებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს. შესაბამისად არ დადგება სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის პოლიტიკის მიმართულებით ახალი დეპარტამენტის ან სამმართველოს ჩამოყალიბების საჭიროება, რითაც არ გაიზრდება სამინისტროს აპარატის თანამშრომელთა რიცხოვნება და შესაბამისად არ იქნება საჭირო შრომითი ანაზღაურების ზრდა.

წარმოდგენილმა კანონპროექტმა შესაძლოა გავლენა მოახდენს მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. აღნიშნული ხარჯები შესაძლოა გამოწვეული იქნეს სააგენტოსთვის მომსახურების საფასურის გადახდის გამო. ამასთან, სავარაუდოდ რა ოდენობით საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას გამოიწვევს უცნობია, ვინაიდან ამ დროისთვის არ არის განსაზღვრული აღნიშნული საფასურების სახეები და ოდენობა.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და

მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება ფინანსურ გავლენას მოახდენს იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება. ასეთი სუბიექტები სავარაუდოდ შესაძლებელია იყვნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, მუნიციპალიტეტ(ებ)ი და კერძო სექტორი. აღნიშნულ სუბიექტებს მოუწევთ სააგენტოსთვის მომსახურების საფასურის გადახდა. თუმცა როგორც აღინიშნა, ამ ეტაპზე არ არის გადაწყვეტილი თუ რა სახის მომსახურება დადგინდება საქართველოს მთავრობის მიერ და კონკრეტულად რომელ სუბიექტებზე გავრცელდება.

რაც შეეხება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში დასაქმებულ პირებს, პროექტის თანახმად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ამ კანონის ამოქმედებამდე დასაქმებული იმ საჯარო მოსამსახურეების უკონკურსოდ გადაყვანა განხორციელდება შესაბამის (ტოლფას) თანამდებობებზე, რომელთა ფუნქცია-მოვალეობებიც პირდაპირ დაკავშირებულია სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის მიმართულებასთან. ტოლფასი თანამდებობა განმარტებულია უზენაესი სასამართლოს მიერ, "როგორც ფუნქციური დატვირთვით, ისე შრომის ანაზღაურების მხრივ მსგავსი თანამდებობა." შესაბამისად, როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, ასევე საქართველოს შრომის კოდექსით რეგულირებულ შემთხვევებში, გადაყვანა განხორციელდება იმავე ანაზღაურებით. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ამ კანონის ამოქმედებამდე შრომით ურთიერთობებში მყოფ პირთა შრომითი უფლებები იქნება იდენტური საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სისტემაში გადმოყვანისას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონის პროექტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილი იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთვის მიიღოს საფასური. ამასთან, სააგენტოს მომსახურების საფასურების სახეებსა და ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. პროექტით არ არის განსაზღვრული აღნიშნული საფასურების მიღების დრო, მათი სახეები და ოდენობა. საფასურების ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება მსგავსი მომსახურეობისთვის დაწესებული საფასურების ოდენობა, ეფექტიანი მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი/ადეკვატური/ სამართლიანი საფასური. აღნიშნული აუცილებელია ახალი სააგენტოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დამატებითი შემოსავლის სახით.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროეტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან" ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.